



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 148
16/01/2019

ზუგდიდი

148-02-4-201901161743



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - გიორგი შენგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
 - ბესიკ ჭეჭია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
 - კახაბერ ფარცვანია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
 - თენგიზ შანავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
 - რუსლან კილასონია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
 - მაგდალინა თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
 - ზვიად ღურწყაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

- აქსანა გუჩუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი – სამუშაო ჯგუფის წევრი.
- 2. სამუშაო ჯგუფის წევრებმა იხელმძღვანელონ 2018 წლის 28 დეკემბრის ”საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის N654 დადგენილების შესაბამისად.
- 3. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:
 - პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;
 - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
 - მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
 - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;
 - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;
 - მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;
 - პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;
 - მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა;
- 4. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად.
- 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია



მერის მოვალეობის შემსრულებელი - მ.შ.

